

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	502,895	1,474,563
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	29,852	0
მარაგები	40,662	81,101
მზა პროდუქცია	40,256	81,101
სხვა	406	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	26,933	59,777
სხვა არამატერიალური აქტივები	22,694	22,694
ძირითადი საშუალებები	6,330	8,184
სულ აქტივები	629,366	1,646,319

ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	253,463	343,605
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	637
საგადასახადო ვალდებულებები	6,997	1,659
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	37,828
სხვა ვალდებულებები	21,656	18,908
სულ ვალდებულებები	282,116	402,637

საკუთარი კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	347,250	1,243,682
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	629,366	1,646,319
სულ მოკლევადიანი აქტივები	26,933	75,151
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	347,250	1,243,682

(ერთეული ლარი)*

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
ფინანსური მდგომარეობა		
	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური მდგომარეობა	502,895	1,474,563
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29,852	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	40,662	81,101
მარაგები	40,256	81,101
მზა პროდუქცია	406	0
სხვა	26,933	59,777
სხვა მოკლევადიანი აქტივები	22,694	22,694
სხვა არამატერიალური აქტივები	6,330	8,184
ძირითადი საშუალებები	629,366	1,646,319
სულ აქტივები		

ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	253,463	343,605
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	637
საგადასახადო ვალდებულებები	6,997	1,659
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	37,828
სხვა ვალდებულებები	21,656	18,908
სულ ვალდებულებები	282,116	402,637

საკუთარი კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	347,250	1,243,682
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	629,366	1,646,319
სულ მოკლევადიანი აქტივები	26,933	75,151
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	347,250	1,243,682

(ერთეული ლარი)*

დირექტორი: ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს Tax Consulting Group:

Handwritten signature: ალექსანდრე ახალკაციშვილი
Handwritten signature: გ. ეზრაელიძე

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
საქმიანობის შედეგები		
	31/12/2022 3	31/12/2021 2
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	934,585	1,389,692
საქონლის გაყიდვიდან	934,585	1,389,692
გაყიდვების თვითღირებულება	-132,403	-175,848
საერთო მოგება	802,182	1,213,844
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19,563	12,729
დასაქმებულთა ანაზღაურება	-443,205	-341,374
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2,570	-1,758
საპროცენტო ხარჯი	-2,748	-5,324
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-420,327	-738,770
სულ საოპერაციო ხარჯები	-849,287	-1,074,497
საოპერაციო მოგება	-47,105	139,347
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-47,105	139,347
მოგების გადასახადის ხარჯი	-159,851	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-206,956	139,347
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-206,956	139,347
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,243,682	830,540
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-905,826	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	216,350	273,795
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	347,250	1,243,682

(ერთეული ლარი)*

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	934,585	1,389,692
საქონლის გაყიდვიდან	934,585	1,389,692
გაყიდვების თვითღირებულება	-132,403	-175,848
საერთო მოგება	802,182	1,213,844
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19,563	12,729
დასაქმებულთა ანაზღაურება	-443,205	-341,374
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-2,570	-1,758
საპროცენტო ხარჯი	-2,748	-5,324
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-420,327	-738,770
სულ საოპერაციო ხარჯები	-849,287	-1,074,497
საოპერაციო მოგება	-47,105	139,347

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	-47,105	139,347
მოგების გადასახადის ხარჯი	-159,851	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-206,956	139,347

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-206,956	139,347
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,243,682	830,540
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-905,826	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	216,350	273,795
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	347,250	1,243,682

(ერთეული ლარი)*

დირექტორი: ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს Tax Consulting Group:

ა. ალექსანდრე
ახალკაციშვილი

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება		
	2023	2022
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-206,956	139,347
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,243,682	830,540
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-905,826	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	216,350	273,795
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	347,250	1,243,682


(ერთეული ლარი)*

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი		
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება		
	2023	2022
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-206,956	139,347
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,243,682	830,540
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-905,826	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	216,350	273,795
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	347,250	1,243,682

(ერთეული ლარი)*

დირექტორი: ალექსანდრე ახალკაციშვილი

შპს Tax Consulting Group:



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალექსანდრე ახალკაციშვილი“ (427739361) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება, კერძოდ დიზაინერი ალექსანდრე ახალკაციშვილის ესკიზების მიხედვით, ხარისხიანი მასალების შესყიდვა იმპორტით, კერვა, ქსოვა და დასრულებული ტანსაცმლის საზღვარგარეთ რეალიზაცია. კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 17 ივლისს. დღე-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 17 ივლისიდან. კომპანიას ჰყავს ერთი დამფუძნებელი. ალექსანდრე ახალკაციშვილი (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 13001017454) 100%. ალექსანდრე ახალკაციშვილი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გამზირი პეკინი, №2, სართული 2, ბინა №31

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ

შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეხუთე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023, 2022 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2023 წლის 1 იანვრისთვის	2.7020	2.8844
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
-------	--------------------------------

საოფისე აღჭურვილობა	3-5 წელი
---------------------	----------

ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5 წელი
-------------------------	----------

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს ვებ-გვერდს და ლიცენზიას.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ

არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში. კომპანიას არ გააჩნია სალარო. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო

სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	2 457	5 276	8 184
შემოსვლა		717	717
გასვლა			-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	1 797	4 533	6 330

დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	1 028	1 919	2 947
ცვეთა	660	1 910	2 570
გასულების დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	1 688	3 829	5 517

წმინდა საბალანსო ღირებულება			
-----------------------------	--	--	--

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	2 457	5 276	8 184
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	1 797	4 533	6 330

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2023	2022
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	40,256	81,101
სულ	40,256	81,101

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2023	2022
გაცემული სესხი	29 852	-
მისაღები პროცენტი	406	-
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	-	-
სულ	30 258	-

შენიშვნა 5 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	26 933	59 777
სულ	26 933	59 777

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ეკვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	502 895	1 474 563
სულ	502 895	1 474 563

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან

	2023	2022
მიღებული ავანსები	21 656	18 908
სულ	128 458	3 588

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	253 463	343 605
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	637
სულ	253 463	344 242

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები

	2023	2022
რეალიზაცია	934 585	1 389 692
სულ	934 585	1 389 692

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	443 205	341 374
ცვეთა და ამორტიზაცია	2 570	1 758
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	420 327	738 770
სულ	866 102	1 081 902

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

შპს ალექსანდრე ახალკაციშვილი

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	253 463	343 605
სულ	253 463	343 605

	2023	2022
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	29 852	-
სულ	29 852	-

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	46 977	34 109
სულ	46 977	34 109

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

მოგახსენებთ, რომ რადგან კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორიაა ტანისამოსის წარმოება და რეალიზაცია. 2020-2021 წლების განმავლობაში აღნიშნული სფერო სერიოზულად შეიზღუდა მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ვირუსის COVID-19 (კორონავირუსი) გამო, 2022-2023 წლებში ამ კატეგორიის ბიზნესი ჯერ არ იყო მზად ინვესტიციებისთვის, შესაბამისად ამან გავლენა მოახდინა ჩვენი კომპანიის საქმიანობაზეც.

გარდა ამისა 2022 წელს დაიწყო ომი უკრაინასა და რუსეთს შორის რომელიც დღემდე გრძელდება. რის შემდეგაც ჩინეთსა და თურქეთზე გავრცელდა მთელი რიგი შეზღუდვები რამაც ძალიან შეაფერხასაერთაშორისო ურთიერთობები როგორც გადარიცხვის მხრივ ასევე საქონლის მოწოდების.

2023 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად შეეცდება ამ ხელშემშლელი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება დაძლიოს და საქმიანობა განაგრძოს ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.